საქართველოს
იუსტიციის
სამინისტრო

საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტო

# ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნისა და განვითარების სამთავრობო კომისია

## გეოინფორმაციული სისტემების (GIS) თემატური სამუშაო ჯგუფი

სხდომის ოქმი #1

თბილისის იუსტიციის სახლი
24 ოქტომბერი, 2014 წელი

სხდომა დაიწყო: 11:00

სხდომა დასრულდა: 13:00

**სხდომის თავმჯდომარე:**

| | |
|---|---|
| ვლადიმერ ჩხაიძე | იუსტიციის სამინისტრო, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, გეოინფორმაციული სისტემების (GIS) თემატური სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი |
| გიორგი პეტრიაშვილი | იუსტიციის სამინისტრო, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, სამთავრობო კომისიის სამდივნო |

**სხდომის მდივანი:**

| | |
|---|---|
| მარიკა აბულაძე | იუსტიციის სამინისტრო, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო |

**სხდომას ესწრებოდნენ თემატური სამუშაო ჯგუფის წევრები:**

| | |
|---|---|
| ირაკლი ლეჟავა | იუსტიციის სამინისტრო, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო |
| თამარ კენკებაშვილი | იუსტიციის სამინისტრო, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო |
| გიორგი სულავა/ წარმომადგენელი ზურაბ ქევანიშვილი | სტატისტიკის ეროვნული სამსახური |
| ლევან ჯაფარიძე | გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო |
| ზაზა გაგუა | გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო |
| ვიტალი მაჭავარიანი | გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| ვახტანგ გლოველი | შინაგან საქმეთა სამინისტრო, საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი |
| თეონა ცოცხალაშვილი | სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მიწათსარგებლობის სამმართველო |
| გიორგი ბასიაშვილი | რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი |
| გიორგი მიქაია | განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემები |

| | |
|---|---|
| გიორგი ზედგინიძე | თავდაცვის სამინისტრო, ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ტოპოგრაფიული სამმართველო |
| ლალი მაძღარაშვილი | კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო |
| მერაბ ლილუაშვილი | ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო |
| ალექსანდრე ბაქანიძე | ენერგეტიკის სამინისტრო, ენერგეტიკული დეპარტამენტი |
| ნინო კოხრეიძე | ენერგეტიკის სამინისტრო, ენერგეტიკული დეპარტამენტი |
| ნიკოლოზ ბერუჩაშვილი | ენერგეტიკის სამინისტრო, სააქციო საზოგადოება ნავთობისა და გაზის კორპორაცია |
| დავით ჭულუხაძე | სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, ადმინისტრაციული დეპარტამენტი |
| გიორგი გიგაური | ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, უძრავი ქონების რესტიტუციის სამმართველო |

**სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:**

| | |
|---|---|
| ივანე ჩოხელი | ქ. თბილისის მერია, სსიპ არქიტექტურის სამსახური |
| ივანე ცარციძე | იუსტიციის სამინისტრო, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო |

**სხდომის დღის წესრიგი:**

1 ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნისა და მნიშვნელობის განმარტება;

2 ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის სამთავრობო კომისიის მიერ დამტკიცებული, სტრატეგიული ამოცანებისა და 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული თემატური სამუშაო ჯგუფის ამოცანების ანალიზი და სამუშაო სტრატეგიის შემუშავება;

3 თემატური ჯგუფის წევრების თანამშრომლობის ფორმატზე შეთანხმება;

4 თემატური სამუშაო ჯგუფის მიერ შესასრულებელი ამოცანების, როლების გადანაწილება და ვადების განსაზღვრა;

5 შესრულებული სამუშაოს მონიტორინგისა და კონტროლის პრინციპებზე შეთანხმება;

6 საბაზისო სივრცითი მონაცემების თემატური ნაკრებების პირველი რიგის პრიორიტეტის განსაზღვრა (სამდივნოს რეკომენდაცია);

7 NSDI-ს კონფერენცია-სემინარის თემატიკა და ძირითადი აქცენტების განსაზღვრა (სამდივნოს რეკომენდაცია);

8 შეხვედრების ინტენსივობაზე შეთანხმება.

**სხდომის ძირითადი შინაარსი:**

სხდომა გახსნა სამთავრობო კომისიის სამდივნოს ხელმძღვანელმა იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სივრცითი ინფორმაციის სამსახურის უფროსმა გიორგი პეტრიაშვილმა. მან წარადგინა გეოინფორმაციული სისტემების თემატური სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი ვლადიმერ ჩხაიძე და მოკლედ მიმოიხილა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 9 ოქტომბრის #262 დადგენილება. მოკლედ განმარტა რა არის ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურა (NSDI), მისი შემადგენელი კომპონენტები, ყურადღება გაამახვილა, თუ რა მდგომარეობა არის ჩვენს ქვეყანაში მონაცემების წარმოების მიმართულებით. ისაუბრა 2014 წლის 3 ივლისს გამართულ სამთავრობო კომისიის სხდომაზე განხილულ საკითხებზე. განმარტა NSDI-ს ინსტიტუციონალური სტრუქტურის შემადგენელი რგოლების: სამთავრობო კომისიის, სამდივნოსა და ექვსი თემატური სამუშაო ჯგუფის შექმნის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის მიმართულებები, სამთავრობო კომისიის მიერ დამტკიცებული NSDI-ს სტრატეგიული ამოცანები და 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა. აქვე აღნიშნა, რომ კომისია განსაზღვრავს სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის ძირითად მიმართულებებს, ხოლო სამდივნომ უნდა შეასრულოს ტექნიკური მენეჯმენტის ფუნქცია, დასახოს კონკრეტული საქმიანობების ვადები, შეამოწმოს თემატური ჯგუფების მიერ შესრულებული სამუშაოები და განსაზღვროს რამდენად შეესაბამება მათი საქმიანობის შედეგები დასახულ ამოცანებს, უხელმძღვანელოს სამუშაო ჯგუფების საქმიანობას. კერძოდ განმარტა, რომ საწყის ეტაპზე უნდა მომზადდეს სტრატეგიული დოკუმენტები, ტექნიკური მიმართულების სახელმძღვანელოები, სტანდარტები, სპეციფიკაციები, სხვადასხვა ტიპის რეგულაციები, რის საფუძველზეც დაიწყება სახელმწიფო ინსტიტუტებში მონაცემთა წარმოება. მან ისაუბრა სამთავრობო კომისიის მიერ გეოინფორმაციული სისტემების (GIS) თემატური ჯგუფისთვის დასახულ სტრატეგიულ ამოცანებზე:

- საბაზისო სივრცითი მონაცემების წარმოება მიჩნეულია პრიორიტეტულად და მარტივია სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული მონაცემების კომბინირება;

- ასევე სივრცითი მონაცემები და ელ-სერვისები წარმოდგენილია მომხმარებლისთვის მარტივად გასაგები და მოსახერხებელი ფორმით.

და აღნიშნა, რომ შემდგომი საქმიანობები სწორედ ამ მიმართულებებით უნდა წარიმართოს. გააცნო თემატური ჯგუფის წევრებს 2014 წლის 21-23 ოქტომბერს გამართულ სამთავრობო კომისიის სამდივნოს, ბიზნეს მოდელის და საკანონმდებლო თემატური სამუშაო ჯგუფების სხდომებზე GIS ჯგუფის მიმართ ჩამოყალიბებული რეკომენდაცია საბაზისო სივრცითი მონაცემების თემატური ნაკრებების პირველი პრიორიტეტების განსაზღვრის შესახებ სამინისტროების დარგობრივი სფეროების და საქმიანობის პროცესში საჭირო სივრცითი მონაცემების კომპონენტების გათვალისწინებით.

შემდეგ GIS ჯგუფის წევრებისათვის წარდგენილ იქნა კომისიის სამდივნოს მეორე რეკომენდაცია დეკემბრის დასაწყისში NSDI-ს კონფერენცია/სემინარის გამართვის შესახებ, სადაც თითოეული სამინისტრო, საქმიანობის სფეროებიდან გამომდინარე, წარმოადგენს საკუთარი საქმიანობის შესახებ ერთ ან რამდენიმე პრეზენტაციას, სამინისტროს გარემოში არსებული მსხვილი მიმართულებების მიხედვით (მაგალითად: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო წარადგენს სამ პრეზენტაციას: გეოდეზია-კარტოგრაფია; კადასტრი; დამისამართება), რომელიც შეეხება სივრცით მონაცემებს და მასთან ასოცირებულ ელექტრონულ სერვისებს, სამინისტროების მიერ წარმოებულ დარგობრივ მონაცემებს, ყველა იმ საჭიროებას და პრობლემას, რაც პირდაპირ ან ირიბად არის დაკავშირებული NSDI-ს თემატიკასთან. ეთხოვა თითოეული სამინისტროს წარმომადგენელს, რომ შემდეგ შეხვედრაზე ჩამოყალიბებული ჰქონდეს მისთვის აქტუალური საკითხები. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ ჯგუფს, განსაზღვრული ამოცანებიდან და საქმიანობებიდან გამომდინარე მოუწევს დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულება. პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის თითოეული სახელმწიფო უწყების მაქსიმალური ჩართულობა და მჭიდრო თანამშრომლობა ძალიან მნიშვნელოვანია.

გიორგი პეტრიაშვილმა ისაუბრა NSDI-ს ვებ-გვერდის, მისი მნიშვნელობის, ფუნქციონალის შესახებ. მან თემატური ჯგუფის წევრებს განუმარტა, რომ ვებ-გვერდი იქნება ცენტრალური სივრცე, სადაც განთავსდება NSDI-სთან დაკავშირებული ყველა ტიპის ინფორმაცია, აქტივობა, მოვლენა სიახლე და გეოპორტალი. საუბარი შეეხო ასევე NSDI-ს საინფორმაციო ჟურნალს, რომელიც არ იქნება გათვლილი მხოლოდ ამ სფეროს სპეციალისტებისათვის. მასში ფართო საზოგადოებისათვის გასაგებად იქნება წარმოდგენილი NSDI-ს თემატიკასთან და გეოინფორმაციულ სისტემებთან ასოცირებული საკითხები.

გიორგი პეტრიაშვილმა GIS თემატური სამუშაო ჯგუფის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია საჯარო რეესტრის ღრუბლოვანი სისტემის შესახებ და წარუდგინა ბმული https://owncloud.napr.gov.ge/public.php?service=files&t=9cd1f588f100e2c72e59fa61f05b25db სადაც შესაბამისი პაროლით nsdi, ჯგუფის წევრებს შეეძლებათ ჩამოტვირთონ და გაეცნონ იქ განთავსებულ, მათთვის საინტერესო NSDI-სთან დაკავშირებულ სხვადასხვა დოკუმენტებს. როგორებიცაა: მთავრობის დადგენილებები, სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებები, პრეზენტაციები, თემატური სამუშაო ჯგუფების ამოცანები, შეხვედრების ოქმები და ა.შ.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ დანარჩენ საკითხებზე ისაუბრა GIS თემატური ჯგუფის ხელმძღვანელმა, იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის გეოინფორმაციული სისტემების მთავარმა არქიტექტორმა ვლადიმერ ჩხაიძემ, მან ჯგუფის წევრებს გააცნო თემატური ჯგუფის საქმიანობის მიმართულებები:

- მეტამონაცემების ეროვნული სტანდარტის პროექტის შემუშავება;
- პირველი რიგის საბაზისო სივრცითი მონაცემების თემატური პრიორიტეტების განსაზღვრა და იმ სახელმწიფო უწყებების იდენტიფიცირება, რომელთა საქმიანობის სფეროსაც განეკუთვნება ეს მონაცემები;
- საბაზისო სივრცითი მონაცემების წარმოებისთვის აუცილებელი საყრდენი მათემატიკური, გეოდეზიური და კარტოგრაფიული საფუძვლების (ორთოფოტო და სატელიტური სურათები, სიმაღლური ციფრული მოდელი, ტერიტორიის ციფრული მოდელი და სხვ.) იდენტიფიცირება.
- სამინისტროების და მათ დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების მიერ, მათი საქმიანობის სფეროებიდან გამომდინარე, პირველი რიგის საბაზისო სივრცითი მონაცემების დოკუმენტირება - მეტამონაცემების ფორმირება;
- პირველი რიგის საბაზისო სივრცითი მონაცემების წარმოებისათვის აუცილებელი სტანდარტების და სპეციფიკაციების პროექტების შემუშავება.

ჯგუფის ხელმძღვანელმა ისაუბრა საქმიანობების ვადების შესახებ და შესთავაზა თემატური ჯგუფის წევრებს შეხვედრები ორ-ორი კვირის ინტერვალით დაეგეგმათ.

ვლადიმერ ჩხაიძემ აღწერა საქართველოში მეტამონაცემების (ინფორმაცია მონაცემების შესახებ) წარმოების მიმართულებით არსებული სიტუაცია. ისაუბრა მეტამონაცემების მნიშვნელობაზე მონაცემების სტანდარტიზაციის, ურთიერთგაცვლის და ჰარმონიზაციის მექანიზმების ჩამოყალიბებაში. აღნიშნა, რომ თითქმის არ ხდება გეოგრაფიული მონაცემებისათვის მეტამონაცემების შექმნა. მეტამონაცემების მიმართულებით გარკვეული საქმიანობები უკვე განხორციელებულია. კერძოდ, INSPIRE, ISO, OGC სტანდარტებზე დაყრდნობით რეგულაციის სამუშაო ვერსია უკვე მომზადებულია, მიმდინარეობს მუშაობა მეტამონაცემების ტექნიკური სპეციფიკაციების შექმნაზე. ყველა ეს დოკუმენტი კორექტირებისა და დაზუსტების შემდეგ შესწორებების შეტანისა და საბოლოო ფორმულირების მიზნით წარედგინება თემატურ სამუშაო ჯგუფებს, სამინისტროებს და გეოგრაფიულ სფეროში მომუშავე კერძო კომპანიებს. მათგან შემოსული შენიშვნებისა და წინადადებების განხილვის შემდეგ კი კომისიის სამდივნოს, რომ წარედგინოს მთავრობას დასამტკიცებლად. შემდეგ ეტაპზე კი სივრცითი მონაცემების მწარმოებელი ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი ვალდებული იქნება შექმნას მეტამონაცემები დამტკიცებული ეროვნული შაბლონის მიხედვით. საწყის ეტაპზე სამინისტროების მიერ უნდა მოხდეს გეომონაცემების მინიმალური კომპლექტის დოკუმენტირება, რათა განისაზღვროს რომელი უწყება რა ტიპის მონაცემს ფლობს, რა მდგომარეობაშია აღნიშნული მონაცემი, რამდენად თავსებადია, რა ფორმატშია ინფორმაცია და სხვა, რადგან მომხმარებლებისთვის გასაგები იყოს, რომელი უწყება რა მონაცემზე იქნება პასუხისმგებელი და სად იქნება შესაძლებელი მისი მოძიება.

მონაცემთა დოკუმენტირებისთვის შეიქმნება მეტამონაცემების ონლაინ აპლიკაცია, რომელიც განთავსდება გეოპორტალზე და იქნება ყველასთვის ხელმისაწვდომი. ჩატარდება სამინისტროების წარმომადგენლების გადამზადება მეტამონაცემების წარმოების კუთხით და საწყის ეტაპზე, საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული მიმართულებით გაეწევათ სახელმწიფო ინსტიტუტებს შესაბამისი დახმარება.

ჯგუფის ხელმძღვანელმა შემდეგ საკითხად წარადგინა სამთავრობო კომისიის რეკომენდაცია საბაზისო სივრცითი მონაცემების თემატური ნაკრებების პირველი პრიორიტეტების განსაზღვრის თაობაზე და ეთხოვა ჯგუფის თითოეულ წევრს შემდეგი შეხვედრისთვის ჩამოყალიბებული ჰქონდეს ჩამონათვალი სამინისტროების დარგობრივი, ასევე საქმიანობისას საჭირო საბაზისო სივრცითი მონაცემების კომპონენტების გათვალისწინებით.

ნიკოლოზ ბერუჩაშვილმა გამოთქვა მოსაზრებები მეტამონაცემების შაბლონის და დარგობრივი პორტალის შესახებ. მას აინტერესებდა ხომ არ მოხდებოდა სივრცითი მონაცემების დუბლირება რამდენიმე ადგილზე. მას განემარტა, რომ NSDI-ს ვებ-გვერდზე განთავსებული იქნება მხოლოდ საბაზისო მონაცემები, ხოლო დეტალები - დარგობრივ პორტალზე. NSDI კი მხოლოდ ხელს შეუწყობს დარგობრივი პორტალის განვითარებას.

საუბარი შეეხო NSDI-ს ეროვნულ კანონს, საბაზისო სივრცითი მონაცემების წარმოებისთვის აუცილებელ საყრდენ მათემატიკურ, გეოდეზიურ და კარტოგრაფიული საფუძვლების იდენტიფიცირებას, INSPIRE-ს დირექტივის ხუთ რეგულაციას, რომელიც შეეხება: მეტამონაცემებს; სივრცით მონაცემებსა და ელ-სერვისებს; ქსელურ მომსახურებას; მონაცემებსა და ელ-სერვისებზე წვდომისა და განფასების პოლიტიკას; მონიტორინგისა და ანგარიშგების ღონისძიებებს. ასევე, იმ სტრატეგიულ დოკუმენტებს (სტანდარტები, სპეციფიკაციები, რეგლამენტები და სხვა.), რაზეც 2014-2015 წლებში უნდა იმუშაოს ჯგუფმა.

თემატური სამუშაო ჯგუფის შესრულებული სამუშაოს მონიტორინგის და კონტროლის პრინციპებზე თემატური ჯგუფის წევრები შეთანხმდებიან და მიიღებენ შესაბამის გადაწყვეტილებას.

**თემატური სამუშაო ჯგუფის სხდომის გადაწყვეტილება:**

1 თემატური სამუშაო ჯგუფის თითოეულმა წევრმა შემდეგი შეხვედრისთვის უნდა ჩამოაყალიბოს სივრცითი მონაცემების თემატური ნაკრებების პირველი რიგის დარგობრივი პრიორიტეტები (მათი სამინისტროს საქმიანობიდან გამომდინარე) და ასევე მათი საქმიანობისათვის აუცილებელი სივრცითი მონაცემების ის თემატური ნაკრებები, რომლებსაც კურირებენ სხვა სამინისტროები.

2 თემატური სამუშაო ჯგუფის თითოეულ წევრს მიეცა რეკომენდაცია შემდეგი შეხვედრისთვის მოამზადოს წინადადებები და მოსაზრებები, დაგეგმილ NSDI-ს კონფერენცია-სემინარზე წარმოსადგენი პრეზენტაციების თემატიკასთან დაკავშირებით.

3 თემატური სამუშაო ჯგუფის თითოეულ წევრს მიეცა რეკომენდაცია მეტი ინფორმირებულობისათვის გააანალიზოს INSPIRE-ს ვებ-გვერდი http://inspire.ec.europa.eu/

4 თემატური სამუშაო ჯგუფის მომდევნო შეხვედრა ჩაინიშნა დაახლოებით ორი კვირის შემდეგ.

სხდომის თავმჯდომარე: / ვლადიმერ ჩხაიძე /

/ გიორგი პეტრიაშვილი /

სხდომის მდივანი: / მარიკა აბულაძე /